ხარვეზი:
02... განხორციელდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად

პასუხი:
დაევალოს დამკვეთს წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან **2025** წლის **29** სექტემბრამდე ვადაში განახორციელოს მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრების ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის **6** მაისის **N210** განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საინვესტიციო ხელშეკრულება

ქ. თბილისი 09 ოქტომბერი, 2020 წელი

ერთი მხრივ, **შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტი"** (ს/ნ 405243482), წარმოდგენილი მისი დირექტორის **რუდოლფ ნაზაროვის** (პ/ნ 01013010068) მიერ, შემდომში ,,შემსრულებელი",

მეორე მხრივ, (1) **შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი"** (ს/ნ 204531499), (2) **შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფი"** (ს/ნ 202446246), და (3) **შპს "ცენტრ პოინტ სიტი"** (ს/ნ 202210044), წარმოდგენილი მათი დირექტორის **მაია რჩეულიშვილის** (პ/ნ 01017003383) მიერ, შემდგომში ერთობლივად ,,შემკვეთი"/"შემკვეთები", ხოლო ცალ-ცალკე მოხსენიებული, შესაბამისად, როგორც „შემკვეთი 1", „შემკვეთი 2" და „შემკვეთი 3",

პრეამბულა:

იმის გათვალისწინებით, რომ:

(ა) *შემკვეთს* გააჩნია ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობის დაუსრულებლობიდან გამომდინარე;

(ბ) *შემსრულებელი* მზად არის *ხელშეკრულებით* განსაზღვრული პირობებით *ქონების* გადაცემის სანაცვლოდ დახმარება გაუწიოს *შემკვეთს* აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაში და მიაწოდოს *შემკვეთს* წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული *მომსახურება*, მასში მითითებული პირობების შესაბამისად;

(გ) *შემსრულებელი* თანახმაა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები და გასწიოს *მომსახურება*;

დ) მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ცენტრ პოინტთან დაკავშირებული მოვლენების გამო ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე;

ე) *მხარეების* სურვილია, დროულად შესრულდეს პრეამბულის „ა" ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულებები და მოგვარდეს *შემკვეთის* წინაშე არსებული პრობლემები,

შესაბამისად, მხარეები ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, შემოკლებებსა და ცნებებს გააჩნიათ ქვემოთმოყვანილი მნიშვნელობა:

"განშლის ოქმი" საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ინდივიდუალური ფართების რეგისტრაცია შესაბამის სუბიექტებზე;

"პროექტი 1" ნიშნავს ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქ. #29, ს/კ: 01.13.05.004.139, 17,632.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ახალი შენობა-ნაგებობების აშენებას და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აშენებულ შენობა-ნაგებობებში შესაბამის ფართების საკუთრებაში გადაცემას ხელშეკრულებასა და მის დანართებში მითითებულ პირებისათვის;

"პროექტი 2" ნიშნავს ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო #51გ, ს/კ: 01.13.05.004.058, 1079.00 კვ.მ, მიწის ნაკვეთზე ახალი შენობა-ნაგებობების აშენებას და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აშენებულ შენობა-ნაგებობებში შესაბამის ფართების საკუთრებაში გადაცემას ხელშეკრულებასა და მის დანართებში მითითებულ პირებისათვის;

"პროექტი 3" ნიშნავს ქალაქ თბილისში, ქალაქი თბილისი, სანაპირო კოსმონავტების #47, ს/კ: 01.13.05.004.059, 6328.00 კვ.მ, მიწის ნაკვეთზე ახალი შენობა-ნაგებობების აშენებას და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აშენებულ შენობა-ნაგებობებში შესაბამის ფართების საკუთრებაში გადაცემას ხელშეკრულებასა და მის დანართებში მითითებულ პირებისათვის;

„პროექტები" ნიშნავს პროექტი 1-ს, პროექტი 2-ს და პროექტი 3-ს ერთად;

„დასრულება" ნიშნავს მშენებლობის დასრულებას;
„ექსპერტი" ნიშნავს, შემკვეთის შეხედულებისამებრ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან ნებისმიერ სხვა საექსპერტო დაწესებულებას ან ექსპერტს;
„მომსახურება" *შემსრულებლის* ვალდებულება ხელშეკრულების პირობების თანახმად *შემკვეთს* გაუწიოს სამშენებლო მომსახურება, ააშენოს და დაასრულოს *პროექტები* საკუთარი მასალით და ხარჯით. სამშენებლო პროექტის მოცულობები და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები განისაზღვრება თბილისის მერიის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტების (აპზ, გრგ, მშენებლობის ნებართვა, კორექტირებული პროექტი და ა.შ.) გამოცემის შემდეგ და დაერთვება ხელშეკრულებას დანართი N1-ის სახით.
„საბოლოო ვადა" განსაზღვრულია ხელშეკრულების 4.1. პუნქტში;
„ექსპლუატაციაში მიღება" - შესაბამისი ორგანოს დოკუმენტით შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარება;
„სამუშაო დღე" ნიშნავს დღეს (შაბათის, კვირისა და ოფიციალური დასვენების დღეების გარდა);
„საჯარო რეესტრი" ნიშნავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს;
„უფლებრივი შეზღუდვა" ნიშნავს ნებისმიერი საჯარო-სამართლებრივი ან სხვა სახის შეზღუდვას ნივთზე, მათ შორის: იპოთეკას, გირავნობას, უზრუნველყოფას, დატვირთვას, ყადაღას, მათ შორის - ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც ანიჭებს რომელიმე ზემოაღნიშნულ ან/და მსგავს უფლებას;

„**ქონება**“ - ნიშნავს (1) **შ.პ.ს „გეითვეი ჰოლდინგი“-ს** საკუთრების უფლებას (მის კუთვნილ წილს) უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქ. #29, ს/კ: 01.13.05.004.139, 17,632.00 კვ.მ, რომელიც ასევე მოიცავს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლებას, როგორც ეს განსაზღვრულია განაშენიანების რეგულირების გეგმით (გრგ), რომელზეც მოხდება თბილისის მერიისგან მშენებლობის ნებართვის მიღება; (2) **შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფი“-ს** საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო #51გ, ს/კ: 01.13.05.004.058, 1079.00 კვ.მ, რომელიც ასევე მოიცავს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლებას, როგორც ეს განსაზღვრულია განაშენიანების რეგულირების გეგმით (გრგ), რომელზეც მოხდება თბილისის მერიისგან მშენებლობის ნებართვის მიღება; და (3) **შპს “ცენტრ პოინტ სიტი”-ს** საკუთრების უფლებას (მის კუთვნილ წილს) უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქალაქი თბილისი, სანაპირო კოსმონავტების #47, ს/კ: 01.13.05.004.059, 6328.00 კვ.მ, რომელიც ასევე მოიცავს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლებას, როგორც ეს განსაზღვრულია განაშენიანების რეგულირების გეგმით (გრგ), რომელზეც მოხდება თბილისის მერიისგან მშენებლობის ნებართვის მიღება;

„**უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება**“ - ხელშეკრულება/ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც შემსრულებელს უნდა გადაეცეს *ქონებაში* შემავალ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება.

მუხლი 2. წინაპირობები

2.1. *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული პირობების შესრულების ვალდებულება *მხარეებს* წარმოეშობათ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება ამ მუხლის „ა-თ“ ქვეპუნქტებში მითითებული ყველა წინაპირობა (შემდგომში „**წინაპირობები**“) 2020 წლის 15 დეკემბრამდე (შემდგომში “**წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადა**”):

(ა) თუ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება *პროექტებზე* განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) გაზრდის შესახებ და აღნიშნული კოეფიციენტი გახდება არანაკლებ 8.5 და თუ თბილისის მუნიციპალიტეტისგან ახალი მშენებლობის ნებართვის მიღება მოხდება შემკვეთის მიერ ამ კოეფიციენტით. ამასთან, აღნიშნული კოეფიციენტის განსაზღვრა მოხდება „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს #8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ 2006 წლის რედაქციის შესაბამისად;

(ბ) თუ თბილისის მუნიციპალიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ *პროექტები* განთავისუფლდეს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) მოსაკრებლისგან;

(გ) თუ თბილისის მუნიციპალიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ *პროექტებზე* გავრცელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #59 დადგენილებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიები;

(დ) თუ მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვრება 42 თვე, რაც მოიცავს მათ ექსპლუატაციაში მიღებასაც;

(ე) თუ შემკვეთი მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეებისგან მოიპოვებს ყველა აუცილებელ უფლებას, თანხმობას და/ან ნებართვას რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, ასაშენებელ შენობებში კომუნალური მომსახურების გარე ქსელების მომიჯნავე ნაკვეთებზე გატარებასთან, მისასვლელი გზების მშენებლობასთან და ასევე შენობების მშენებლობის პროცესში, მომიჯნავე ნაკვეთების ნაწილების დროებით გამოყენებასთან ან/და შეზღუდვასთან;

(ვ) თუ *ქონება* (შემკვეთების საკუთრების უფლება) განთავისუფლდება ყველა არსებული *უფლებრივი შეზღუდვისგან* (რაშიც არ იგულისხმება არსებული სერვიტუტი) და ამ მიზნით, მათ შორის, *შემსრულებელი* უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო #51გ, ს/კ: 01.13.05.004.058, 1079.00 კვ.მ, მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმებისათვის საჭირო შესაბამისი თანხების გამოყოფას;

(ზ) თუ შემკვეთებს, შემსრულებელს და ხელშეკრულების დანართი N 2-ში მითითებულ პირებს შორის, გაფორმდება ხელშეკრულება, არსებითად იმ ფორმითა და პირობებით, როგორც ეს შემოდგომში (წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადამდე) შეთანხმდება *მხარეთა* მიერ და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას დანართ N 3-ის სახით, რომლითაც ამ პირთა წინაშე არსებულ ვალდებულებას შეასრულებს შემსრულებელი, და რომ შემკვეთი თავისუფლდება, მას აღარ ექნება და არც მომავალში წარმოეშობა ფართების გადაცემის ან მისგან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ვალდებულება/პასუხისმგებლობა აღნიშნულ პირთა მიმართ;

(თ) *შემსრულებელს, შემკვეთს* და ხელშეკრულების შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ იმ პირებს შორის, რომელთა საკუთრების უფლებასთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია იპოთეკა ან სხვა უფლებრივი შეზღუდვა გაფორმდება წერილობითი შეთანხმება, რომლითაც აღნიშნული პირები ვალდებულებას იღებენ და აცხადებენ უპირობო თანხმობას, მათ საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებით არსებული იპოთეკა ან სხვა უფლებრივი შეზღუდვა გაუქმდეს ან/და მოხდეს მათი გადატანა *შემსრულებლის* მიერ მათთვის გადასაცემ ფართებზე. ამასთან, არაფერი უნდა იღქმეს იმგვარად აღქმული, რომ *შემკვეთები* ან *შემსრულებელი* პასუხს აგებს იმ ვალდებულებებზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც ან რომლიდან გამომდინარეც რეგისტრირებულია იპოთეკა თუ სხვა უფლებრივი შეზღუდვები.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადამდე შესრულდა წინაპირობები, მხარეები იღებენ ვალდებულებას 2020 წლის 31 დეკემბრამდე დადონ უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება, არსებითად იმ ფორმითა და პირობებით, როგორც ეს შემოდგომში (წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადამდე) შეთანხმდება *მხარეთა* მიერ და დაერთვება წინამდებარე *ხელშეკრულებას* დანართი N 4-ის სახით.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადის გასვლამდე არ შესრულდა 2.1. მუხლის „ა-თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე წინაპირობა, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს *უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების* დადება, საკუთრებაში მიიღოს *ქონება* და განახორციელოს *პროექტები* წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ წინაპირობები არ შესრულდა წინაპირობების დადგომის საბოლოო ვადის გასვლამდე და თუ ხელშეკრულების 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა შორის არ დაიდო *უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება*, ხელშეკრულება წყდება იმგვარად, რომ მხარეებს ერთმანეთის და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ არ ექნებათ რაიმე პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

2.5. წინაპირობების შესრულებასთან და დასრულებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს, ხარჯს და მოსაკრებელს გაიღებს შემსრულებელი. ხელშეკრულების 2.1. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობის შესრულებასთან დაკავშირებით *შემსრულებელი* გაიღებს მხოლოდ იმავე ქვეპუნქტში მითითებული იპოთეკის უფლების გაუქმებისთვის საჭირო თანხებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. *შემსრულებელი* კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს სამშენებლო სამუშაოები თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტისა (რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს *შემსრულებელი 1-ის* მოსაზრებები) და სათანადო ნებართვების შესაბამისად, საკუთარი მასალით და ხარჯით და გადასცეს საკუთრებაში *შემკვეთ 1-ს* და ხელშეკრულების შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ პირებს აშენებულ შენობა-ნაგებობებში შესაბამის ფართებზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

3.2. *ხელშეკრულებაში* სამშენებლო სამუშაოების მოცულობა განისაზღვრება თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული არქიტექტურული პროექტებით (შემდგომში ტექსტში ,,არქიტექტურული პროექტი”) დადგენილი სამშენებლო პარამეტრების სამუშაოების ღირებულებით, რომელიც უნდა შესრულდეს *ქონებაში* შემავალ მიწის ნაკვეთებზე.

3.3. *ქონებაზე* შემსრულებელის მიერ სამშენებლო სამუშაოების სრულად და ზედმიწევნით შესრულებასთან ერთად მას წარმოეშობა ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აშენებულ შენობა-ნაგებობებში ხელშეკრულების 3.1. მუხლში მითითებულ პირებს გადასცეს ქონება (შემდგომში **„ფართები“**) თეთრი კარკასის მდგომარეობაში (როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების 5.4. პუნქტში), რომლის საერთო ფართი არ უნდა იყოს სასარგებლო ფართის 30500 (ოცდაათიათას ხუთასი) კვ.მ-ზე ნაკლები (მათ შორის 12500 (თორმეტიათას ხუთასი) კომერციული ფართი) და ავტოსადგომები (რომლის ზუსტი რაოდენობა მხარეთა მიერ დამატებით იქნება შეთანხმებული *ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებამდე*). აღნიშნული ფართებიდან უნდა მოხდეს ხელშეკრულების 3.4. პუნქტში მითითებული წესით და პირობებით ხელშეკრულების დანართი N 2-ში მითითებულ პირებზე შესაბამისი ფართების გადაცემა, ხოლო ფართების დარჩენილი ოდენობა გადაეცემა *შემკვეთი 1-ს* შემდეგი წესით - ხელშეკრულების დანართი N 3-ში (რომელიც დამატებით გაფორმდება *მხარეთა* მიერ და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას) მითითებული ფართები გადაეცემა *შემკვეთი 1-ს* ამავე დანართში მითითებული ვალდებულებების შესრულების მიზნით ამავე დანართში მითითებული პირების მიმართ. ხოლო, ყველა სხვა დარჩენილი ფართები გადაეცემა *შემკვეთ 1*-ს. ამასთან, თუ ხელშეკრულების დანართი N 1 და დანართი N 2-ში მითითებულ პირებთან რაიმე მიზეზით ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება, შესაბამისი ფართები გადაცემა *შემკვეთ 1-ს.*

3.4. *შემკვეთი 1-სა* და *შემსრულებლისთვის* ფართების იდენტიფიცირება (ინდივიდუალურ საგნებად დაყოფა) და საჯარო რეესტრში წარდგენა მოხდება არქიტექტურული პროექტის დამტკიცებიდან 2 თვის ვადაში. შენობა-ნაგებობის ინდივიდუალურ საგნებად დაყოფის დოკუმენტში (შემდგომში **„განშლის ოქმი“**) *შემკვეთი 1, შემსრულებელი* და დანართ N 2-ში მითითებული პირები (რომლებთანაც გაფორმებული იქნება შესაბამისი ხელშეკრულება) განისაზღვრებიან ინდივიდუალურ საგნებად დაყოფილი შესაბამისი ფართების მესაკუთრეებად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დანართ N 2-ში მითითებულ პირებს, შესაბამისად, შემკვეთები თავისუფლდებიან, მათ აღარ ექნებათ და არც მომავალში წარმოეშობათ ფართების გადაცემის ან მისგან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული რაიმე ვალდებულება/პასუხისმგებლობა აღნიშნულ პირთა მიმართ. ამასთან, დანართში მითითებული პირების ვალდებულებები, რომლებიც ამ პირებს გააჩნდათ შემსრულებლის მიმართ, ექვემდებარება *შემსრულებლის* წინაშე შესრულებას.

3.5. *უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით შემკვეთები* საკუთრებაში გადასცემენ *შემსრულებელს* ხელშეკრულებით განსაზღვრულ *ქონებას*, ასევე პროექტთან დაკავშირებულ სამშენებლო ნებართვებს, არქიტექტურულ პროექტებს და მშენებლობის განსახორციელებლად საჭირო სხვა უფლებებს (რომლებიც მოპოვებულია თბილისის მერიის

სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისგან). თავის მხრივ შემსრულებელი *შემკვეთ 1-ს* გადასცემს ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრულ ქონებას.

3.6. შემსრულებელი ინფორმირებულია რეგისტრირებული ყადაღებისა და შეზღუდვების შესახებ.

3.7. ყოველგვარი ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ *უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების* საფუძველზე *შემკვეთის* მიერ *შემსრულებელზე* ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის რეგისტრაციის დროს, ქონებაზე საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულებით გრაფაში დარეგისტრირდება *შემსრულებლის* ვალდებულება გადასცეს შემკვეთს ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული ქონება და ამასთან, ქონებაზე ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით საკუთრების უფლების სრულად ან ნაწილობრივ მესამე პირზე გადასვლის შემთხვევაში, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება გადაყვება უძრავ ნივთს. ასაშენებელი/მშენებარე ან აშენებული შენობა-ნაგებობებში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების გასხვისების შემთხვევაში, ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებრივი შეზღუდვა არ გადაყვება გასხვისებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებს. ამასთან, *შემსრულებლის* მიერ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების გასხვისების შემთხვევაში გაუსხვისებელი ფართების ოდენობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, არ უნდა იყოს ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გადასაცემი ქონების ოდენობაზე ნაკლები.

3.8. სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე *შემსრულებლებს* ეკრძალება მოახდინოს შენობის/შენობების პირველ სართულზე განთავსებული პროექტით განსაზღვრული კომერციული ან ნებისმიერი სხვა ფართის გასხვისება და/ან სხვაგვარი განკარგვა.

3.9. ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული ფართები გამოყოფილი იქნება შესაბამისი *პროექტების* ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობის/ნაგებობების მეორე, მესამე და მეოთხე (საცხოვრებელი პირველი, მეორე და მესამე) სართულებზე. ამასთანავე, თუ აღნიშნული ფართი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემკვეთისათვის გადასაცემი ფართების ოდენობაზე ნაკლები, დამატებითი ფართების გამოყოფა მოხდება შენობის/შენობების მეხუთე (საცხოვრებელი მეოთხე) სართულიდან.

3.10. სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე შემსრულებელს წარმოეშობა უფლება განკარგოს მხოლოდ ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მეხუთე (3.9. პუნქტის გათვალისწინებით), მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე (საცხოვრებელი მეოთხე (3.9. პუნქტის გათვალისწინებით), მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე) სართულებზე განლაგებული ფართები, სხვა დანარჩენი ფართების განკარგვის უფლება შეზღუდულია შენობა-ნაგებობის მეათე (საცხოვრებელი მეცხრე) სართულის აღმართვამდე.

3.11. შენობა-ნაგებობის თერთმეტი (საცხოვრებელი ათი) სართულის აღმართვის შემდგომ შემსრულებელს წარმოეშობა უფლება მოახდინოს შენობა-ნაგებობის მეთორმეტე, მეცამეტე

მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე (საცხოვრებელი მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე) სართულებზე განლაგებული ფართების განკარგვა.

3.12. შენობა-ნაგებობის მეთხუთმეტე (საცხოვრებელი მეთოთხმეტე) სართულის აღმართვის შემდგომ შემსრულებელს წარმოეშობა უფლება მოახდინოს მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე (საცხოვრებელიმეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე) სართულებზე განლაგებული ფართების განკარგვა. ხოლო, შენობა-ნაგებობების მეცხრამეტე სართულის (საცხოვრებელი მეთვრამეტე) სართულის აღმართვის შემდგომ შემსრულებელს უფლება ექნება მოახდინოს მის ზედა სართულებზე განთავსებული ფართის განკარგვა.

3.13. მხარეები თანმხდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 3.7.-3.12. მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვები და ვალდებულებები დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

3.14. შემსრულებელი ასევე კისრულობს ვალდებულებას დაფაროს *ქონებასთან* დაკავშირებული კომუნალური დავალიანებები.

3.15. შემსრულებელს არ ეკისრება ვალდებულება ქალაქ თბილისში, ქალაქი თბილისი, სანაპირო კოსმონავტების #47, ს/კ: 01.13.05.004.059, 6328.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების დადებისას უკვე არსებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით.

3.16. მხარეები თანხმდებიან, რომ ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქ. #29, ს/კ: 01.13.05.004.139, 17,632.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების დადებისას უკვე არსებული შენობის დემონტაჟი განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ და იმ პირობით, როდესაც მოხდება მათზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების მქონე პირთათვის სანაცვლო ქონების გადაცემა *პროექტის* ფარგლებში ასაშენებელ შენობა-ნაგებობებში.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება შემსრულებლის მიერ სამშენებლო სამუშაოთა დასრულებამდე. თუმცა, ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით ეს ვადა, ყოველი ასაშენებელი შენობა-ნაგებობის შემთხვევაში, შეადგენს არაუმეტეს 42 თვეს, რომელიც აითვლება კონკრეტულ შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან, ისე რომ დასრულების საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2025 წლის 1 იანვარს.

4.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

4.3. მესაკუთრეს (ქონების შემსრულებლისათვის გადაცემამდე) და შემსრულებელს (მისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემის შემდგომ ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული წესით განშლის ოქმის და ფართებზე საკუთრების უფლების

რეგისტრაციამდე) ეკრძალება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიწის ნაკვეთის გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა.

4.4 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ასევე მხარეთა შეთანხმებით ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. თუკი ხელშეკრულების N 1 დანართში მითითებული შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრულ ვადაში *შემსრულებლის* მიერ შესასრულებელი სამუშაოების შეუსრულებლობა გაგრძელდა 3 (სამი) თვეზე მეტი ვადით, *შემკვეთმა შემსრულებელს* უნდა განუსაზღვროს დამატებითი 1 (ერთი) თვიანი ვადა ხელშეკრულებით მითითებული შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სამუშაოს დაუსრულებლობის შემთხვევაში, *შემკვეთი* უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში *შემკვეთს* უბრუნდება საკუთრებაში *შემსრულებლისათვის* საზღაურის სახით გადაცემული *ქონება* სრულად გარდა, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, *შემსრულებლის* მიერ ფაქტობრივად დახარჯული თანხის პროპორციული ფართებისა, ექსპერტის მიერ შეფასებისას არსებული ფართების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით (შენიშვნა/პრინციპი - ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სრული თანხა შეფარდებული ფაქტობრივად დახარჯულ თანხასთან ტოლია *შემსრულებლისათვის* გადასაცემი/დასატოვებელი ქონებისა).

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. შემკვეთი უფლებამოსილია:

5.1.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ახალი მშენებლობის ნებართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში სამუშაოთა წარმოების ყოველთვიური გრაფიკის მისთვის წარდგენა;

5.1.2. აკონტროლოს შემსრულებლის მიერ სამუშაოთა მიმდინარეობა, რაშიც იგულისხმება შესასრულებელ სამუშაოთა და მასალათა სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით აღიარებულ ხარისხთან შესაბამისობა და ყოველთვიური გრაფიკის შესრულების მდგომარეობა;

5.1.3. მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდის განმავლობაში ინფორმაცია მშენებლობის წარმოების თაობაზე;

5.1.4. მოსთხოვოს შემსრულებელს მიღება - ჩაბარების აქტის შედგენა ეტაპობრივად ყოველი სართულისა და სრულად შესრულებული სამუშაოს ჩატარების შემდეგ;

5.1.5. მოსთხოვოს შემსრულებელს სამშენებლო სამუშაოთა ამსახველი დოკუმენტაციის წარმოება და მისგან მიიღოს კვარტალურად ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ასახავს სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

5.2. შემკვეთი ვალდებულია:

5.2.1. ხელი არ შეუშალოს შემსრულებლის საქმიანობას;

5.2.2. ჩაიბაროს შემსრულებლის მიერ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში შესრულებული მხოლოდ ხარისხიანი სამუშაო;

5.2.3. შემსრულებლისთვის უზრუნველყოს სამშენებლო მოედანი სხვა პირებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში, სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად;

5.2.4 მისთვის იდენტიფიცირებული ფართები მშენებლობის დასრულებამდე არ გაყიდოს შემსრულებელთან შეთანხმებული ფასის გარეშე;

5.2.5. გასცეს ნებისმიერი თანხმობა დაუყოვნებლივ, რაც საჭიროა სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად და ინდივიდუალური ფართების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად.

5.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

5.3.1. მოსთხოვოს შემკვეთს სამშენებლო დოკუმენტაციის გადაცემა თუკი მას გააჩნია ასეთი - არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტების, ასევე გეოლოგიური დასკვნა და სხვა დაკავშირებული დოკუმენტები;

5.3.2. ობიექტი მოამზადოს შესაბამის სამსახურებში ექსპლუატაციაში მისაღებად ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე;

5.3.3. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთის მისთვის მშენებლობის სამუშაოების საწარმოებლად გადაცემა;

5.3.4. *შემსრულებლისთვის* საკუთრებაში გადაცემული ფართები განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ მშენებლობის პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

5.4. შემსრულებელი ვალდებულია:

5.4.1. მოთხოვნის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში შემკვეთს წარუდგინოს მის მიერ შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკი, რომელშიც მითითებული იქნება ყოველთვიურად შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახეობა და ვადა;

5.4.2. მოახდინოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების სრული უზრუნველყოფა საკუთარი ფინანსებით, მასალებით, მოწყობილობებითა და მუშახელით, აგრეთვე სხვა ობიექტებითა და ინვენტარით, რაც საჭიროა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნარდობის სამუშაოთა წარმოებისათვის. ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია იქონიოს არქიტექტურული პროექტის შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელსაც არ ესაჭიროება არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმება, თუმცა საჭიროა სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად - მათ შორის კონსტრუქციული პროექტი, გეოლოგიური დასკვნა და ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რაც საჭიროა შენობის აღმართვისა და ექსპლუატაციაში მისაღებად;

5.4.3. თავისი ხარჯით, შეთანხმებული პროექტის თანახმად, მოახდინოს გათვალისწინებული შენობის ექსტერიერის (ფასადი) დასრულება (მათ შორის სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩათვლით), კიბის უჯრედების დასრულება, წყლისა და კანალიზაციის და

ელექტრო-გაყვანილობის დანადგარების, აგრეთვე ბუნებრივი აირის დგარების დამონტაჟება, რომელიც შეერთებული იქნება ცენტრალურ სადენებთან;

5.4.4. თითოეულ სადარბაზოში დაამონტაჟოს ლიფტები, რომელიც იქნება მუშა მდგომარეობაში;

5.4.5. შენობის აივნებზე დაამონტაჟოს მოაჯირები;

5.4.6. მოახდინოს სართულების შემავსებლით შევსება და ბინებში ტიხრების მოწყობა წარდგენილი გეგმარების მიხედვით;

5.4.7. მოაწყოს შენობის მინუს სართულებზე ავტოსადგომები;

5.4.8. მოაწყოს კიბის უჯრედების საფეხურები, კიბის უჯრედში გალესოს და მოაპირკეთოს კედლები, ასევე იატაკი მოაპირკეთოს;

5.4.9. ჩაამონტაჟოს ბინებში შესასველი რკინის კარები საკეტით და იმ ფართების კარების საკეტები, რომელნიც შემკვეთისათვის იქნება გადასაცემი, გადასცეს შემკვეთს;

5.4.10. ყველა ფართი და ბინები გალესოს გაჯით, დაამონტაჟოს წყლისა და კანალიზაციის და ელექტრო-გაყვანილობის დგარები/კვანძები, აგრეთვე ბუნებრივი აირის დგარები, რომელიც შეერთებული იქნება ცენტრალურ სადენებთან, მოაწყოს მოჭიმული იატაკი და გარე პერიმეტრზე ჩასვას ალუმინის ან მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა ორმაგი მინა-პაკეტით არსებული პროექტის შესაბამისად გარდა ელექტრო დაქსელვისა;

5.4.11. მიმდებარე ტერიტორია კეთილმოაწყოს, შენობის ირგვლივ მოასფალტების, გარე განათების და გამწვანების ჩათვლით;

5.4.12. მოახდინოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის შესაბამისად აღმართული შენობის ექსპლუატაციაში მიღება;

5.4.13. შეუდგეს სამუშაოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისინებული წინაპირობების შესრულებიდან ერთი თვის ვადაში;

5.4.14. მშენებლობის დასრულებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მიღება ექსპლუატაციაში.

მუხლი 6. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკის თითოეული ეტაპის სამუშაოს შესრულების შემდეგ, შემკვეთის და შემსრულებლის მონაწილეობით უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი. სამშენებლო სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე შემკვეთის და შემსრულებლის მონაწილეობით უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შესრულებულად ჩაითვლება შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მხარეთა მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტებში უნდა აღინიშნოს:

6.2.1. შეასრულა თუ არა შემსრულებლმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს აღწერა და ღირებულება;
6.2.2. შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეთანხმებულ ხარისხს და არქიტექტურულ და კონსტრუქციულ პროექტებს;
6.2.3. თანახმა არის თუ არა შემკვეთი მიიღოს შესრულებული სამუშაო;
6.3. მიღება-ჩაბარების აქტს ხელი უნდა მოაწეროს შემკვეთის და შემსრულებლის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა.
6.4. შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკის თითოეული ეტაპის სამუშაო სრულად შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შემკვეთის მიერ მოწონების შემდგომ. თუკი რომელიმე მხარე არ ეთანხმება შესრულებული სამუშაოს ხარისხს, მხარეებს შეუძლიათ თავისი ინიციატივით ჩაატარონ საინჟინრო ექსპერტიზა რომელიც დაადგენს სამშენებლო სამუშაოების არქიტექტურულ და კონსტრუქციულ პროექტებთან, ასევე სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით აღიარებულ ხარისხთან შესაბამისობას. თუკი საინჟინრო ექსპერტიზით დადგინდება შემსრულებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების არიქტექტურულ და კონსტრუქციულ პროექტებთან, ასევე სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით აღიარებულ ხარისხთან შესაბამისობა, სამშენებლო სამუშაოების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკის კონკრეტული ეტაპის სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას ნაკლი წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 7. ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები

7.1. იმ შემთხვევაში, თუკი საკუთარი ვალდებულებების ფარგლებში ვალდებულების შემსრულებელი მხარე წააწყდება ისეთ წინასწარ, გაუთვალისწინებელ და აუცდენელ გარემოებას (შეცვლილი გარემოება), მათ შორის მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერება, რომლის არსებობის გამო ვალდებულების შესრულება მისთვის მეტისმეტად გართულდება, მან დაუყოვნებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ ამ გარემოებათა წარმოშობიდან არაუგვიანეს ორი კვირისა უნდა მიმართოს მეორე მხარეს წერილობით, რათა მოხდეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუკი შემსრულებელი და შემკვეთი ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების საკითხზე, ის მხარე, რომლის უფლებებიც ილახება ვალდებულების შესრულების გართულების გამო, უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, შემკვეთს უბრუნდება შემსრულებლისთვის საზღაურის სახით გადაცემული უძრავი ნივთები, 4.4 მუხლის პრინციპების მიხედვით.

7.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ვალდებულების შესრულების გართულებაში იგულისხმება საქონლის ან მომსახურების ღირებულების ხუთმაგი ოდენობით გაზრდა ან შემცირება.

7.3. ნაკისრი ვალდებულებების უმნიშვნელო გართულება არ წარმოშობს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ან ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს.

მუხლი 8. ქვეკონტრაქტორები

8.1. *შემსრულებელი* უფლებამოსილია *მომსახურებისათვის* საჭირო სამუშაოებთან დაკავშირებით თავისი სურვილისამებრ გააფორმოს ხელშეკრულებები ნებისმიერ ქვეკონტრაქტორთან და/ან მესამე პირთან, რაც არ საჭიროებს დამადებით შეთანხმებას *შემკვეთთან.*

8.2. *შემსრულებელი* პასუხს აგებს ქვეკონტრაქტორების ქმედებით მიყენებულ ზიანზე ისევე, როგორც საკუთარი ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე.

მუხლი 9. სამშენებლო მასალები და სამუშაოთა ხარისხი

9.1 *შემსრულებელი* ვალდებულია *შემკვეთთან* შეთანხმებით შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები.

9.2 *შემსრულებელი* ვალდებულია *მომსახურება* შეასრულოს ხარისხიანად და ხარისხიანი მასალით. *შემკვეთის* მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია შესრულებული სამუშაოსა და მასალის ხარისხის შემოწმება *ექსპერტის* მიერ. იმ შემთხვევაში, თუ *ექსპერტი* დაადგენს, რომ *შემსრულებლის* მიერ *მომსახურება* უხარისხოდ ან უხარისხო მასალით არის შესრულებული, *შემსრულებელი* ვალდებული იქნება გამოასწოროს ასეთი ნაკლი. იმ შემთხვევაში, თუ *ექსპერტმა* დაადასტურა დამატებითი სამუშაოების აუცილებლობა, *ექსპერტის* ხარჯებს გაიღებს *შემსრულებელი,* სხვა შემთხვევაში *ექსპერტის* ხარჯებს აანაზღაურებს *შემკვეთი.*

მუხლი 10. პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ

10.1. ნებისმიერი სახის ზიანისთვის, რომელიც შეიძლება მიადგეს *მომსახურების* გაწევისას მესამე პირებს და/ან მათ ქონებას, პასუხიმგებელი იქნება მხოლოდ შემსრულებელი.

10.2. *შემსრულებელი* ვალდებულია განახორციელოს მეთვალყურეობა სამშენებლო ობიექტზე, რომლის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და ქონების დაცვა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში,

რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

11.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ, თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

11.3. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

11.4. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს. ამასთან, შეტყობინება არაა სავალდებულო, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

11.5. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

11.6. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი ან მისი ნაწილი, რაიმე კანონის ძალით აღმოჩნდა ბათილი ან ძალადაკარგული, ეს გავლენას ვერ მოახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების ნამდვილობაზე.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში არაფერი უნდა იქნეს იმგვარად აღქმული, რითაც *შემკვეთი* აღიარებს, ან/და შემკვეთს წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება ან პასუხისმგებლობა ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ხუთ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

12.4. ხელშეკრულების დანართები ითვლებიან მის შემადგენელ ნაწილებად.
12.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
12.6. ხელშეკრულება განიმარტება ქართული სამართლის მიხედვით.

შემსრულებელი:
შ.პ.ს „იქსმშენ დეველოპმენტ“
რუდოლფ ნაზაროვი

შემკვეთი 1:
შპს „გეითვეი ჰოლდინგი“
მაია რჩეულიშვილი

შემკვეთი 2:
შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფი“
მაია რჩეულიშვილი

შემკვეთი 3:
შპს “ცენტრ პოინტ სიტი”
მაია რჩეულიშვილი

ნომერი	გვარი, სახელი	კვ.მ.	ობიექტი
1	ბეჟანიძე მურადი		17.7 ხერხი
2	საკანდელიძე თეიმურაზისაკანდელიძე ე		48.52 ხერხი
3	საკანდელიძე თეიმურაზი		48.27 ხერხი
4	საკანდელიძე თეიმურაზი		25.1 ხერხი
5	გაბუნია დიმიტრი		22.49 ხერხი
6	გაბუნია დიმა		20 ხერხი
7	გეორგიოს კოცის		22.31 ხერხი
8	გეორგიოს კოცის		9.4 ხერხი
9	გეორგიოს კოცის		9 ხერხი
10	მირინაშვილი მაგდანა-გიორგიოს კოცის		64.5 ხერხი
11	მირინაშვილი მაგდანა-გიორგიოს კოცის		55 ხერხი
12	გეორგიოს კოცის		49 ხერხი
13	მირიანაშვილი მანანა-გეორგიოს კოცის		20 ნალი1
14	ნინო ქურდაძე		8.6 ხერხი
15	ნინო ქურდაძე		17.2 ხერხი
16	ნინო ქურდაძე		13.4 ხერხი
17	ნინო ქურდაძე		13.8 ხერხი
18	შპს "გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი'		23.13 ხერხი
19	ბებია კობა		18.05 ხერხი
20	ბურდული გიორგიბურდული ნინო		19.95 ხერხი
21	შპს "PSP აფთიაქი"		77.96 ხერხი
22	ყოლბაია გურამი		89 ხერხი
23	ყოლბაია გურამი		125.11 ხერხი
24	შედანია ინგა		18.52 ხერხი
25	შედანია ინგა		15.27 ხერხი
26	ამფიმიაფი ირინე		19.04 ხერხი
27	ამფიმიადი შოთა		16.97 ხერხი
28	სარალიძე დავითი		19.5 ხერხი
29	სარალიძე ემზარი		127.04 ნალი1
30	კუჭუხიძე ლუიზა		15.82 ხერხი
31	თამთა გოგია		14 ხერხი
32	თამთა გოგია		14.1 ხერხი
33	გეგეჭკორი რუსლანი		47.01 ხერხი
34	გაჩეჩილაძე დარეჯანი		20.45 ხერხი
35	შპს "ხარება"		20 ხერხი
36	შეროზია სოფიო		36.03 ხერხი
37	მაია ნინუა		20.3 ხერხი
38	მეჩითიშვილი ნათია		18.9 ხერხი
39	მაღრაძე ამალიაპაიჭაშვილი ანზორი		8.1 ხერხი
40	მაღრაძე ამალია		15.8 ხერხი
41	მაღრაძე ამალია		24.23 ხერხი
42	მაღრაძე ზაზა		15 ხერხი
43	მაღრაძე ზაზა		18.58 ხერხი
44	მაღრაძე ზაზა		17.97 ხერხი
45	რომან ფაიქრიძე		8.25 ხერხი
46	რომან ფაიქრიძე		11.84 ხერხი

47 შაღაშვილი რევაზ	8.1 ხერხი
48 შაღაშვილი რევაზ	8.18 ხერხი
49 შაღაშვილი რევაზი-ხიტალიშვილი	14.04 ხერხი
50 დეკანოიძე ეკა	8.15 ხერხი
51 დეკანოიძე ეკა	15.83 ხერხი
52 გოგინაშვილი დავითი	23.84 ხერხი
53 კახაბერ ჩიხლაძე	15.05 ხერხი
54 კახაბერ ჩიხლაძე	14.9 ხერხი
55 კახაბერ ჩიხლაძე	10.1 ხერხი
56 იოსებ ჩიხლაძე	64.8 ხერხი
57 ჩიხლაძე ერმილე	24 ნალი1
58 ინასარიძე ნაზიკო	14.87 ხერხი
59 ინასარიძე ლაშა	79.41 ნალი1
60 მაჭარაშვილი ქეთევანი	16.9 ხერხი
61 ლობჟანიძე ინგა	17 ხერხი
62 ლობჟანიძე არჩილი	76.6 ნალი1
63 დიღმელაშვილი დალი	16.64 ხერხი
64 ბიწაძე ლიანა	20.23 ხერხი
65 ბიწაძე ზურაბი	10.2 ხერხი
66 ბიწაძე ზურაბი	16.5 ხერხი
67 ბიწაძე მაია	8.24 ხერხი
68 უკლება გიორგი	19.91 ხერხი
69 გაგუა რობერტი-გაგუა მზისადარი	20.37 ხერხი
70 გაგუა რობერტი-გაგუა მზისადარი	18.17 ხერხი
71 მოსიძე ნანა	36.23 ხერხი
72 მამუკა სხირელი	18.72 ხერხი
73 მამუკა სხირელი	17.23 ხერხი
74 ნანული ქიტესაშვილი	18.38 ხერხი
75 ნანული ქიტესაშვილი	26.65 ხერხი
76 ღუდუშაური ქეთევანი	17 ხერხი
77 ღუდუშაური ქეთევანი	17 ხერხი
78 დევსურაშვილი ზაქარია	18.96 ხერხი
79 ავქოფაშვილი მურთაზიავქოფაშვილი მ	8.13 ხერხი
80 კაკუშაძე თამარი	8.14 ხერხი
81 მამულაძე ლეილა	8.18 ხერხი
82 მამულაშვილი მარიამი	20.08 ხერხი
83 რამი ჯინი	15 ხერხი
84 რამი ჯინი	26.5 ხერხი
85 რამი ჯინი	11.5 ხერხი
86 კვანტალიანი ამირანიქავთარაძე ლერი	22 ხერხი
87 მჭედლიძე ფრიდონი	31 ხერხი
88 ნიკოლაშვილი ნუნუ	34.63 ხერხი
89 ჯაფარიძე ნათია	17.02 ხერხი
90 ინანიშვილი ირინამახატაძე სოფიო	16.18 ხერხი
91 ქალიაშვილი ნანა	16.17 ხერხი
92 თინათინ ძიძიგური	19.6 ხერხი
93 თინათინ ძიძიგური	15.7 ხერხი

94 თინათინ ძიძიგური	16.6 ხერხი
95 თინათინ ძიძიგური	23.4 ხერხი
